საქართველო - ბიზანტია - ქრისტიანული აღმოსავლეთი

International Conference

GEORGIA–BYZANTIU–CHRISTIAN EAST

საქართველო – ბიზანტია - ქრისტიანული აღმოსავლეთი
(კულტურათა ურთიერთობების აქტუალური პრობლემები)

25 სექტემბერს 10:00 საათზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნება საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო – ბიზანტია - ქრისტიანული აღმოსავლეთი“.

კონფერენციის მიზანია მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში საქართველოს კულტურული და ისტორიული გამოცდილების სწორად წარმოჩენა, რათა სწორად განისაზღვროს თანამედროვე ევროპულ სამყაროში ჩვენი ქვეყნის ადგილი.

საქართველოს, როგორც ზოგადი ქრისტიანული სამყაროს უმნიშვნელოვანეს და უძველეს ნაწილს, უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ქრისტიანული ლიტერატურის, ფილოსოფიისა და ხელოვნების განვითარებაში. შესაბამისად ქართული კულტურა მონაწილეა დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე კულტურული პროცესებისა.

კონფერენცია მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს: ფილოლოგიას, ისტორიას, ღვთისმეტყველებას და ხელოვნებათმცოდნეობას.

კონფერენციაზე საუბარი იქნება ქართული და ბიზანტიური ხელოვნების, ლიტერატურის, სამწიგნობრო კერების , არქეოლოგიისა და სხვა საკითხების შესახებ.

კონფერენციაში 80-ამდე მეცნიერი იღებს მონაწილეობას ისეთი ქვეყნებიდან როგორიცაა: ა.შ.შ, ბრიტანეთი, იაპონია, ჩეხეთი, იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, რუსეთი, ისრაელი, აზერბაიჯანი და გერმანია. უცხოელი მეცნიერების ყველა მოხსენება შეეხება ქართული ლიტერატურული თუ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას ზოგად ქრისტიანული კულტურის განვითარებაში.

აღსაღნიშნავია, რომ კონფერენციის ფარგლებში გაიმართება გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური ორიგინალი ხელნაწერები: ალავერდის სახარება, ვანის სახარება და სხვა ხელნაწერები, რომლებიც საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობებს ასახავს.

კონფერენცია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართება და 2 დღეს გასტანს.

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე - 577 977 199; pr@manuscript.ac.ge - www.manuscript.ge
მის: თბილისი, მ. ალექსიძის 1/3